

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნათია კახნიაშვილი

”სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები საქართველოში”

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება,  
შიფრი 02

თბილისი - 2017

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
პროფესორი

/ზ. ლუდუშაური/

ოფიციალური რეცენზენტები:

1. პროფ. რ. ქინქლაძე
2. პროფ. ი. არჩვაძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის "--11--" ----აპრილს-----" -15-- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია ---

მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ავტორეფერატისა კი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ([www.gtu.ge](http://www.gtu.ge)).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,  
სტუ-ს პროფესორი

/ლ. კოჭლამაზაშვილი/

## SUMMARY

Scientific research of poverty phenomena is one of the most urgent problems of all poor countries. There are poor people in developed countries as well but their number does not reach a dangerous and alarming rate there.

Georgia is a poor country. Under the official sources 9-10% of its population is poor while according to unofficial sources the poverty level is higher in the country. This is quite alarming rate

Current thesis concerns the poverty problem in Georgia and searching the financial sources that can help to solve the problem.

The thesis consists of 4 parts.

The first part of the thesis considers the following issues:

1. Essence, types, defining concepts, and results of poverty;
2. Reasons of poverty and globalization and poverty;
3. Unemployment as the basis of poverty;

The paper states that despite the fact that there is no clear-cut definition of poverty yet, it is “the economic situation of man in when he is not able to satisfy the minimal vital needs and to maintain employability”. Doctoral candidate considers 4 concepts of poverty - absolute, relative, deprivation, subjective. He notes that the Georgian population is in this absolute poverty. Since the high number of its population starves or eats improperly

Unemployment is considered as the first reason of poverty and all its aspects are perfectly outlined. The author believes that as far as the rate of poverty in Georgia exceeds 2-3 times (12.4 % in 2014) its natural level (5-7%), it is necessary for government to take a radical measures.

The second chapter of thesis “The Unemployment and its Social-Economic Results in Georgia” analysis unemployment in 2011-2014 and fixes the results that caused unemployment in the country. The analysis has found the trend of unemployment rate as follows: 11, 1% in 2001, 16.9 % in 2008 and 12.4% in 2014. The author makes conclusion that despite the fact that the unemployment has the tendency of decrease its level is high anyway in accordance with the level of 2011.

The author believes that unemployment is the reason of increased rate of registered crime, reduce of number of marriages, average number of children per family, increase of morbidity and mortality rate, And one-year mortality per 1,000 live births in 2014 throughout the Georgia.

The third chapter describes a population's living standards and poverty metrics, and then the living standard and uneven distribution of incomes in Georgia. The living standard is studied regarding the healthcare and education provision. The author studies and evaluates the absolute and relative poverty.

It is investigated that In 2014 just 3817 USD was set up on GDP per capita (it is 35132 USD in Switzerland) in Georgia. Monthly income makes only 273 GEL, the minimum salary of employable man is 155.6 GEL, 959533 persons live below the 60% of median consumption, while 376639 persons beyond 40% of median consumption. The both groups are poor – the first group representatives spend 4.3 Gel per day, the representatives of the second group spend 2.9 GEL (according to the world bank's data the person who's daily income is less than 1.25 USD is extremely poor and the person with 2.0 USD of daily income is poor).

Under the subjective assessment of poverty that doctoral candidate has done by sociological research in Tbilisi, 68% of the population is poor. Meanwhile, Georgian statistic service considers as a poor only 9.4% of population (registered poor people) while UNICEF 8.3% of population. Population Healthcare is significantly improved during the research period but still is not the best result. In 2014 the amount spent for healthcare is 66 USD per person (274 USD along with social care expenses) while it fluctuates among 2500-4000 USD in the west European countries The level of education is unsatisfactory during the research period. According to it Georgia is on the 105<sup>th</sup> place.

Income distribution among the poor and the reach is extremely unequal in Georgia. During the research period Gini coefficient has decreased from 0.45% to 0.41% but it is not enough according to the author. The fourth chapter of thesis “Modeling Financial Aspects of Poverty Reduction in Georgia” the following financial resources are found out and presented: creation of an inclusive business-model, micro-insurance, micro-leasing, improving taxation system. All those proposals are grounded by arguments

The paperwork is accompanied with the summary report of research results.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**ნაშრომის აქტუალობა.** ქართველი ხალხისათვის სიღარიბე საკმაოდ ახალი ფენომენია. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებით მის ბოლო სტადიაზე, 70-80-იან წლებში, ქართულ ცხოვრებაში აშკარა ღარიბი პრაქტიკულად არ არსებობდა. ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი და უცხო იყო მათხოვრობა, პროსტიტუცია. მართალია ამ პერიოდში კორუფცია არსებობდა, მაგრამ იგი, ფაქტობრივად გამოდიოდა შემოსავლების გადანაწილების მძლავრ საშუალებად. გაბატონებული იყო პრინციპი ”მე - შენ, შენ - მე”. ქართველი ხალხის გადატაკების პროცესი 90-იან წლებში დაიწყო. მას ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გაუაზრებელმა მცდელობამ და სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებამ საზოგადოების გახლეჩვამ. არსებულ სიტუაციაში საზოგადოების იმ მცირე ჯგუფმა ისარგებლა, რომელიც ხელისუფლებაში ბატონობდა. სახალხო ქონების დიდი ნაწილი დენაციონალიზაციის თუ სხვადასხვა სახის ”პირამიდების” მეშვეობით, მათ ხელში აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში მივიღეთ სოციალური უთანასწორობის სწრაფი ზრდა და შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის მაღალი დიფერენციაცია.

უთანასწორობის დონეზე მოქმედი ფაქტორები ქართულ ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია. მათ შორის ძირითადია რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები, უმუშევრობის დონე, სახელმწიფო სოციალური პროგრამების (დასაქმება, მრავალშვილიანი ოჯახების სახელმწიფო მხარდაჭერა, საპენსიო პოლიტიკა, ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის შემწეობა) დაბალი ეფექტიანობა, ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა, არასრულწლოვანი ბავშვების რაოდენობა, განათლების დონე, მარტოხელა დედების დიდი რაოდენობა, მაღალი შიდა და გარე მიგრაცია და სხვა. სიღარიბის სრულფასოვანი ეკონომიკური ანალიზი მოითხოვს სიღარიბის დონის ალტერნატიული შეფასებების განხორციელებას. ასეთი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა უფრო ობიექტურად შეფასდეს ღარიბების სიტუაცია საქართველოში.

საზრდოს პოლიტიკის კვლევითი საერთაშორისო ინსტიტუტის (GHI) 2010 წლის გამოკვლევაში გაანალიზებულია განუვითარებელი და გარდამავალი ეკონომიკის 52 ქვეყნის სიღარიბის მონაცემები. ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ შიმშილობის მსოფლიო ინდექსში გამოყოფილია 29 ქვეყანა, რომლებიც ძირითა-

დად განლაგებულია სუბსაჰარისეულ აფრიკაში და სამხრეთ აზიაში, სადაც სიღარიბე შეფასებულია როგორც "უკიდურესად საგანგაშო" და "საგანგაშო". ამ გამოკვლევის მიხედვით ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების უმრავლესობაში შიმშილის მაჩვენებელი დაბალ დონეზეა, ანუ, ამ მხრივ, სიტუაცია შედარებით ნორმალურია. თუმცა, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, საქართველოში, სომხეთსა და უზბეკეთში შიმშილობის "ზომიერი" დონეა დაფიქსირებული.

შეიძლება ამ მხრივ ჩვენ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე სუბსაჰარისეულ აფრიკის ქვეყნებს, მაგრამ შიმშილის ის დონე, როგორც საქართველოშია, როგორ შეიძლება "ზომიერად" ჩაითვალოს, ან როდამდე უნდა ჩაითვალოს?

სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების მიგნება არის ძალზე აქტუალური საქართველოში. მოცემული სადისერტაციო ნაშრომი ამ გზების და საშუალებების გამონახვას ეძღვნება.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია მოსახლეობის სიღარიბის გამოკვლევა, მისი მიზეზების დადგენა და დამლევის ფინანსური რეზერვების ამოქმედება.

დასახული მიზნიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- სიღარიბის არსის, შედეგების და მაჩვენებლების შესწავლა, გაცნობიერება;
- სიღარიბის მიზეზების გამოკვეთა გლობალიზაციის კონტექსტში;
- უმუშევრობის განხილვა სიღარიბის მთავარ მიზეზად;
- უმუშევრობის ანალიზი 2001-2014 წლებში და მიღებულ მაჩვენებელთა შეფასება;
- საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოკვლევა და შეფასება;
- საქართველოს მოსახლეობის ჯგუფებს შორის შემოსავლების უთანასწორობის დადგენა;
- სიღარიბის დამლევის ფინანსური რეზერვების გამოკვეთა და ამუშავება.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტია საერთოდ სიღარიბე, ხოლო კვლევის საგანია საქართველოს მოსახლეობის სიღარიბე და იმ ფინანსური რეზერვების ამოქმედების შესაძლებლობის დადგენა, რომელიც აქვს საქართველოს ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა. კვლევის თეორიული საფუძველია ზოგადად სიღარიბეზე, უმუშევრობაზე და ცხოვრების დონის პრობლემებზე ქართველი და უცხოელი მეცნიერ-თეორეტიკოსების კონცეპტუალურ-ფუნდამენტური შეხედულებები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური მოვლენების შეცნობის პრინციპები და მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, ემპირიული დაკვირვება და სხვა.

კვლევის ინფორმაციული წყაროა სტატისტიკური მონაცემები, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევები, ნორმატიული დოკუმენტები, სამთავრობო პროგრამები, მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვები და თვით დისერტანტის კვლევის შედეგები.

**ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე.**

- შესწავლილი და დადგენილია უმუშევრობის დონე და მისით გამოწვეული სიღარიბის დონე;
- გამოანგარიშებულია უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები;
- შეფასებულია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე და შედარებულია იგი სხვა ქვეყნებთან;
- ჩატარებულია ქ. თბილისის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა და დადგენილია სიღარიბეზე მათი სუბიექტური შეფასებები;
- გამოკვეთილია უმუშევრობის უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები - დამნაშავეობის ზრდა, შობადობის შემცირება, მოკვდაობის ამაღლება და სხვა;
- მიგნებული და დასაბუთებულია სიღარიბის შემცირების ფინანსური წყაროები:
  - ✓ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის ამუშავება;
  - ✓ მიკროდაზღვევა;
  - ✓ მიკროლიზინგი;
  - ✓ დაბეგვრის სისტემის მოწესრიგება;

- ✓ მინიმალური ხელფასის სრულყოფილად გამოანგარიშება საარსებო მინიმუმის და ონფლაციის მხედველობაში მიღებით.

**საკვლევი თემის დამუშავების დონე.** სიღარიბე მსოფლიო პრობლემაა. ამიტომ ამ ფენომენის მიზეზებზე და გადაჭრის გზების მოძებნაზე დიდი ხანია მრავალი მეცნიერი მუშაობს. მათ რიცხვში არიან: ლ. ჩიქავა, ჯ. კახნიაშვილი, ა. სილაგაძე, ე. მექვაბიშვილი, რ. აბესაძე, მ. კვიციანი, დ. იაკობიძე, ე. ჩიქოვანი, ი. მესხია, კ. გაბელაშვილი, ვ. ვირსალაძე, ბ. გაბიძაშვილი, ლ. ბახტაძე, ნ. რობიტაშვილი, კ. მიხაილოვი და სხვები.

მიუხედავად ამ სფეროში არსებული მრავალი ნაშრომისა, ახალი რეალობიდან გამომდინარე, სიღარიბის პრობლემის ფინანსური რეზერვები სიღრმისეულ მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს. სახელდობრ, დასაზუსტებელია რისი გაკეთება შეიძლება ამ მიმართულებით და ვინ უნდა ითავოს იგი - სახელმწიფომ თუ კერძო სექტორმა, თუ ორივემ ერთად.

**კვლევის შედეგების გამოყენების სფერო.** ნაშრომის ანალიტიკური და ფაქტობრივი მასალა, დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოიყენოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

**კვლევის შედეგების აპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ავტორის მიერ მოხსენდა -- საერთაშორისო კონფერენციებს და გამოქვეყნდა -- საჟურნალო სტატიებში, საერთო მოცულობით 4,6 პირობითი ნაბეჭდი თაბახისა.

**ნაშრომის შინაარსი ასეთია:** ტიტულის გვერდი, ხელმოწერის გვერდი, საავტორო უფლების გვერდი, რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შინაარსი (სარჩევი), ცხრილების ნუსხა, ნახაზების ნუსხა, შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა.

**თავი I. უმუშევრობის და სიღარიბის თეორიული საფუძვლები**

I.§1. სიღარიბის არსი, სახეები, განსაზღვრის კონცეფციები და შედეგები;

I.§2. სიღარიბის მიზეზები, გლობალიზაცია და სიღარიბე;

I.§3. უმუშევრობა, როგორც სიღარიბის საფუძველი

**თავი II. უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში**

II.§1. უმუშევრობის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში 2001-2007 წლებში



II. §2. უმუშევრობის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში 2008-2014 წლებში

II. §3. უმუშევრობის მიზეზები და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

**თავი III. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ანალიზი და შეფასება**

III. §1. მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა

III. §2. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი 2009-2014 წლებში

III. §3. შემოსავლის განაწილების უთანაბრობა საქართველოში

**თავი IV. საქართველოში სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტების მოდელირება დასკვნა**

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

### **ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, დახასიათებულია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა, გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, საგანი და ობიექტი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და კვლევის მეთოდები, ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგად მიღებული სიახლეები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში პასუხგაცემულია კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ შეირჩა მოცემული პრობლემა სადისერტაციო თემად, რა არის მასზე უკვე ცნობილი და რა კიდევ მოითხოვს შესწავლას.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - *”უმუშევრობის და სიღარიბის თეორიული საფუძვლები”* განხილული, გაანალიზებული და შეფასებულია სამი საკითხი:

1. სიღარიბის არსი, სახეები, განსაზღვრის კონცეფციები და შედეგები;
2. სიღარიბის მიზეზები, გლობალიზაცია და სიღარიბე;
3. უმუშევრობა, როგორც სიღარიბის საფუძველი.

სიღარიბის თემაზე სხვადასხვა ლიტერატურის დამუშავებით დადგინდა, რომ მისი ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. გარდა იმისა, რომ მეცნიერები საუბრობენ ორი სახის აბსოლუტურ და შედარებით (შეფარდებით) სიღარიბეზე, ისინი მათ სხვადასხვანაირად განმარტავენ. ამის მიუხედავად მეცნიერები

ერთნი არიან იმაში, რომ სიღარიბე ადამიანის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც, მას არ შეუძლია მინიმალურად აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და შრომაუნარიანობის შენარჩუნება.

ეკონომიკური მეცნიერება იცნობს სიღარიბის ოთხ კონცეფციას. ესენია: აბსოლუტური სიღარიბის კონცეფცია, შეფარდებითი (შედარებითი) სიღარიბის კონცეფცია, დეპრივაციის კონცეფცია და სუბიექტური კონცეფცია. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ოთხივე კონცეფცია და აღნიშნულია, რომ ქვეყნის მოსახლეობისთვის მეტად მწვავე არის აბსოლუტური სიღარიბე, რადგან იგი ეფუძნება შემოსავალს, საარსებო მინიმუმს. რაც შეეხება შეფარდებით სიღარიბეს, იგი წინა პლანზე აყენებს არა საარსებო მინიმუმს, არამედ კეთილდღეობის პარამეტრებს და ასეთი სიღარიბე ყოველთვის იქნება, მაშინაც კი, როცა აბსოლუტური სიღარიბე აღარ იარსებებს. საქართველოს მოსახლეობა ამჟამად აბსოლუტურ სიღარიბეშია და სადისერტაციო ნაშრომში სწორედ მისი დაძლევის ფინანსური რეზერვების გამოკვლევა იქნა მიზნად დასახული.

აბსოლუტური სიღარიბის ზღურბლად მსოფლიო ბანკი დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებ შემოსავალს აღიარებს. აბსოლუტური სიღარიბე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში უკვე აღარ არსებობს. იგი განვითარებული (აფრიკის და აზიის ზოგიერთი ქვეყანა) და განვითარებადი (ყოფილი სოციალისტური ქვეყნებია) ქვეყნების ხვედრია. მათ რიცხვშია საქართველოც.

სიღარიბის შედეგია შიმშილი. დღე-ღამეში 1800 კილოკალორიის მიღება შიმშილის ზღურბლად დაადგინა გაერომ. მანვე დაადგინა 2100 კილოკალორია როგორც ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის მინიმუმი. ქართველი მეცნიერის, პროფესორ ლ. ჩიქავას გამოანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მასა (დაახლოებით 50%) განეკუთვნება ისეთ კატეგორიას, რომელიც მოიხმარს გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე - 2100 კილოკალორიაზე ნაკლებს.<sup>1</sup>

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია სიღარიბის წარმოშობის სხვადასხვა ახსნები - კულტუროლოგიური, სტრუქტურული, მთავრობის არაკომპეტენტური პოლიტიკა, და შემოსავლის უთანაბრო განაწილება. სიღარიბის წარმოშობის ასეთ

<sup>1</sup> ჩიქავა ლ., საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონი და მოკვდაობა. თსუ და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბ., 2014, გვ. 63-67.

ახსნებს გვთავაზობენ უცხოელი მეცნიერები გ. სორმანი, პ. ბაუერი, ამართეა სენი, პ. თაუსენდი და სხვები. რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, ისინი საქართველოში სიღარიბის მიზეზებად ასახელებენ: პროფესორი რ. აბესაძე, ტექნოლოგიების დაბალი დონეს, მწირ ბუნებრივ რესურსულ პოტენციალს, ეკონომიკის არასწორ რეგულირებას; პროფესორი დ. იაკობიძე - საქართველოსადმი უცხო ქვეყნების დამოკიდებულებას, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი საქართველოს აღმავლობაში. არსებობს სხვა მოსაზრებებიც.

ჩვენი აზრით, საქართველოში სიღარიბის ძირითადი მიზეზი მოსახლეობის უმუშევრობაა. ტექნოლოგიის დაბალი დონეც, მწირი რესურსებიც და ეკონომიკის არასწორი რეგულირებაც, საქართველოს საბჭოთა პირობებშიც ჰქონდა, მაგრამ მაშინ სიღარიბე არ არსებობდა, რადგან ყველა დასაქმებული იყო. ჩვენი ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს სადისერტაციო ნაშრომს ბოლომდე და ჩვენს მიერ შემუშავებული წინადადებებიც სწორედ ღარიბი მოსახლეობის დასაქმების ფინანსური ასპექტების ამუშავებას ეხება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის თანმხლები მოვლენაა, მაგრამ იგი უნდა არსებობდეს მხოლოდ დასაშვები ბუნებრივი ნორმის (5-7%) ფარგლებში და არა მასზე მეტი.

ამავე აზრს გამოთქვამს პოლ ჰაინე, როცა ის წერს, რომ "უმუშევართა რაღაცა რაოდენობა, არ უნდა გვაღელვებდეს, ის არ ქმნის პრობლემას. მთავარია მან არ მიაღწიოს "პრობლემურ დონეს".<sup>1</sup>

საქართველოში 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკით უმუშევრობის დონედ 12,4% დასახელდა. ფაქტიურად იგი ბუნებრივ დონეზე 2-3-ჯერ მეტია. ეს მდგომარეობა ქვეყნისთვის პრობლემურად არის, შემამფოთებელიც და საშიშიც.

სწორედ ამიტომ სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება *უმუშევრობას და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გამოკვლევას საქართველოში*. ანალიზი ჩატარებულია 2001-2014 წლების პერიოდზე. გამოკვლეულია უმუშევართა რიცხვი, უმუშევრობის დონე და მათი დინამიკა (ცხრილი 1). დადგენილია, რომ 2001-2007 წლებში უმუშევრობის დონე საქართველოში 12-13%-ის ფარგლებში მერყეობდა. შემამფოთებელი აღმასვლა მან დაიწყო 2008 წლიდან, როცა ქვეყანაში

---

<sup>1</sup> Пол Хейне, *Экономический образ мышления*, М., 1991, გვ. 493.

დაფიქსირდა 16,9% უმუშევრობის დონე და ფაქტიურად იგი შენარჩუნდა 2009-2010 წლებშიც. შემდეგ მან დაიწყო კლება და 2014 წელს 12,4%-მდე შემცირდა. ეს "შემცირებული" დონეც 2-ჯერ მეტია უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე, რაც დიდ დანაკარგს აძლევს ქვეყანას და თითოეული უმუშევრის ოჯახს.

უმუშევრობა არც მხოლოდ ქართული ფენომენია და არც მხოლოდ საქართველოს პრობლემა, მაგრამ იქ, ქვეყნის მთავრობები მეტად აქტიურად არიან ჩართულნი ამ პრობლემის გადაწყვეტაში, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მთავრობის მისამართით. მეტიც, უცხოელი მეცნიერების აზრით, სანამ საქართველოში ფინანსური სისტემა არ გაჯანსაღდება, უმუშევრობის დაძლევაზე ფიქრი ზედმეტია. უფრო რადიკალურია ამ საკითხში ორგანიზაცია ILO-ს დირექტორი ხუან ხომოვაია.

## უმუშევრობის დონე საქართველოში და მისი დინამიკა 2001-2014 წლებში

		2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	დინამიკა
1	ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათ. კაცი)	2113,3	2104,3	2050,4	2041	2023,9	2021,3	1965,3	1917,8	1991,8	1944,9	1969,3	2029	2003,9	1991,1	56,3
2	უმუშევართა რიცხვი (ათ. კაცი)	253,6	265	235,9	257,6	279,3	274,6	261,0	315,8	335,6	316,9	296,1	305,1	291,8	246	104,6
3	უმუშევრობის დონე (%)	11,1	12,6	11,5	12,6	13,8	13,6	13,3	16,5	16,9	16,3	15,1	15,0	14,6	12,4	-

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემები.

იგი სამუშაო ადგილების შესაქმნელად სასწრაფოდ გლობალური კურსის აღებას ითხოვს. როგორც პირველი, ისე მეორე მოწოდება, პირდაპირადაც და არაპირდაპირადაც, რეალურ სექტორში - მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში (და არა ვაჭრობაში) ინვესტიციების მოცულობის ზრდას მოითხოვს. ძირითადად ეს სექტორი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. ასეთ დროს საქართველოში სესხების სახით დაბანდებული ინვესტიციების 60% მოდის ვაჭრობაზე და მხოლოდ 23% მრეწველობასა და მშენებლობაზე.<sup>1</sup> ეს ის ფაქტებია, რომლებიც კომენტარებს არ საჭიროებს.

სადისერტაციო ნაშრომში გამოთვლილია 2013-2014 წლებში არსებული უმუშევრობით (ოფიციალური და რეალური დონეების მიხედვით) ეკონომიკის მიერ მიღებული დანაკარგი. გაანგარიშება მოხდა ერთი მომუშავეს შრომის საშუალო მწარმოებლურობასა და უმუშევართა რიცხვზე დაყრდნობით.

#### **2013 წელს მან შეადგინა:**

- ა) უმუშევრათა ოფიციალური რაოდენობის მიხედვით - 12509,1 მლნ ლარი;
- ბ) უმუშევართა რეალური რაოდენობის მიხედვით - 29987,5 მლნ ლარი.

#### **2014 წელს მან შეადგინა:**

- ა) უმუშევართა ოფიციალური რაოდენობის მიხედვით - 11154,0 მლნ ლარი;
- ბ) უმუშევართა რეალური რაოდენობის მიხედვით - 31483,2 მლნ ლარი.

უმუშევრობის შედეგი მარტო შიმშილი არ არის. მას უკავშირდება დამნაშავეობა, ოჯახების რღვევა, სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი და მრავალი სხვა. ეს უარყოფითი სოციალური შედეგები საქართველოში მისი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე წელს გამოვლინდა და თანდათან ზრდაც დაიწყო. მაგალითად, თუ 2005 წელს რეგისტრირებულ დანაშაულებში მძიმე დანაშაული 30 %-ს შეადგენდა, 2013 წელს იგი 55%-მდე ამაღლდა. 2013 წელს 1989 წელთან შედარებით მოსახლეობა 1087 ათასი კაცით შემცირდა. თუ 1980 წელს 1000 სულზე მოდიოდა 101 ქორწინება, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 7,7-მდე შემცირდა, მოკვდაობა 1000 სულზე ანგარიშით 2005-2013 წლებში 9,9 ერთეულიდან 10,8 ერთეულამდე გაიზარდა, ერთ წლამდე ბავშვების მოკვდაობა კი 1,3-დან 2,1-მდის ამაღლდა და ა. შ.

---

<sup>1</sup> დანიაშვილი გ., მსოფლიოში ყოველი მე-16 უმუშევარი იქნება, "საქართველოს ეკონომიკა", №7-8, 12, გვ. 6.

მოტანილი მასალებით ჩანს, თუ სიღარიბემ და სიღატაკემ როგორ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოებაზე. 75,2 წლამდე შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც, მაშინ როდესაც საბჭოთა პერიოდში საქართველო ერთ-ერთ დღეგრძელ ადამიანთა ქვეყნად ითვლებოდა.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია - *”საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის, სიღარიბის ანალიზი და შეფასება”*. ნაშრომის მოცემულ ნაწილში შესწავლილი და შეფასებულია:

1. მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა;
2. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი 2009-2014 წლებში;
3. შემოსავლების განაწილების უთანასწორობა საქართველოში.

ნაშრომის მესამე თავის პირველ ქვეთავში მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემაში გადმოცემულია სიღარიბის და ცხოვრების დონის ამსახველი მაჩვენებლების - სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე, მოდალური და მედიანური შემოსავალი, მედიანური მოხმარება, დეცილური კოეფიციენტი, ჯინის კოეფიციენტი და გაეროს მიერ შემოთავაზებული „ადამიანისეული განვითარების ინდექსის” - გამოანგარიშების ალგორითმი. ახსნილია მათი გამოყენების მიზანშეწონილობა, გამოყენების სფეროები და მინიშნებულია იმის შესახებ, რომ ამ მაჩვენებელთა სიმრავლის გამო, სადისერტაციო ნაშრომში შეუძლებელი იყო ყველა მათგანის გამოთვლა, რის გამოც დისერტანტი იტოვებს უფლებას არჩევანი გააკეთოს მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, კერძოდ იმათზე, რომლებზეც ინფორმაცია დისერტანტისთვის ხელმისაწვდომია, და, რომლებსაც საკმაოდ პრიორიტეტულ მაჩვენებლებად მიიჩნევენ ამ სფეროში მოღვაწე სხვა მეცნიერებიც. ეს მაჩვენებლებია:

- მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე ანგარიშით;
- საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავლები;
- საშუალო თვიური დანახარჯები;
- საშუალო თვიური დანაზოგი;
- საარსებო მინიმუმი და მედიანური მოხმარება;
- მოსახლეობის ფარდობითი სიღარიბე;
- სიღარიბის დონე;

- მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების დიფერენციაციის დეცი-  
ლური კოეფიციენტი;
- ჯინის კოეფიციენტი.

მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მოცულობა დისერტაციაში წარ-  
მოდგენილია 23 წლიან პერიოდში (1992-2014 წ.წ.) და რუსეთთან შედარების მეთო-  
დით ჩატარებულია მისი სულადობრივი მოცულობის და დინამიკის ანალიზი  
(ცხრილი 2).

**ცხრილი 2**

**მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე  
საქართველოში და რუსეთში (აშშ დოლარი)<sup>1</sup>**

წლები	მაჩვენებლის სიდიდე			
	საქართველო	რუსეთი	განსხვავება რუსეთის მაჩვენებლისგან (+, -)	პროცენტულად რუსეთის მაჩვენებელთან
1992	757	3095	-2338	24,4
1993	550	2929	-2379	18,8
1994	517	2663	-2146	19,4
1995	569	2670	-2082	21,5
1996	670	2651	-2079	24,3
1997	775	2749	-1069	42,0
1998	805	1844	-534	60,0
1999	629	1339	-1146	35,4
2000	692	1775	-1409	32,9
2001	734	2101	-1367	34,9
2002	779	2375	-1596	32,8
2003	922	2976	-2054	30,9
2004	1187	4109	-2922	28,8
2005	1470	5337	-3867	27,5
2006	1765	6947	-5182	25,4
2007	2318	9146	-6828	25,3
2008	2930	11700	-8770	25,0
2009	2441	8616	-6175	28,3
2010	2614	10710	-8096	24,4
2011	3220	13284	-10064	24,2
2012	3508	14030	-10522	25
2013	3615	15610	-11995	23,1
2014	3817	17330	-13513	22
დინამიკა 2014 წ. %-ად 1992 წელთან	504	560	-	-

<sup>1</sup> პაპავა ვლ., საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი. კონფერენციის მასალების კრებული, თსუ, პაატა გუგუშვილის ინსტიტუტი, 2014, გვ. 49; საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, თბ., 2015; რამიშვილი ბ., საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი VII, №1, თბ., 2015, გვ. 46.



აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში იგი საქართველოში 757 აშშ დოლარიდან 3817 დოლარამდე ანუ 5-ჯერ გაზარდა, შესაბამისი მაჩვენებელი კი რუსეთში გაიზარდა 5,6-ჯერ. მართალია ზრდის ტემპში განსხვავება დიდი არ არის, მაგრამ იქ, 1992 წლის მაღალი საბაზო მაჩვენებლის (3095 დოლარი) გამო, ხოლო ჩვენთან დაბალი მაჩვენებლის (757 დოლარი) გამო, საქართველოს 2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მაჩვენებელი რუსეთის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 22,0%-ს შეადგენდა. ასე რომ, მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მაჩვენებლით, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი ერთ-ერთი პრიორიტეტული მაჩვენებელია, ჩვენი ქვეყანა მეტად ჩამორჩება არა მხოლოდ რუსეთს, არამედ სხვა მეზობელ განვითარებად ქვეყნებსაც (აზერბაიჯანში იგი 8747 დოლარია, სომხეთში 5495 დოლარი), განვითარებულ ქვეყნებთან კი მისი შედარებაც არ შეიძლება (მაგალითად, შვეიცარიაში მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი სიდიდე 35132 აშშ დოლარია).

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც საქართველოსთან ერთად დაადგინეს საბაზრო ეკონომიკის გზას, და, მასზე არანაკლები ქაოსი და შინააშლილობებიც გაიარეს და მისნაირად, მთავრობათა ცვლაც ხშირად ჰქონდათ (მაგალითად, სომხეთს), საქართველოს მთავრობა ქვეყანაში სოციალური ეკონომიკის დასამყარებლად აშკარად მათზე ნაკლებ ძალისხმევას ხარჯავდა.

ცხოვრების დონის ამსახველი მეორე რესპექტაბელური მაჩვენებელია საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავალი. ნაშრომში მისი ანალიზი 2003-2014 წლების პერიოდზეა ჩატარებული (ცხრილი 3). ამ პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა მისი 2,6-ჯერ და მეტად ზრდა, ანუ 2003 წლის თვიური 104,4 ლარი შემოსავალი გაიზარდა 273 ლარამდე. იმის გარდა, რომ ეს მეტად მცირე თანხაა, უფრო მცირე აღმოჩნდა იგი ზოგიერთ საქართველოს რეგიონში - კახეთში - 252,6 ლარი, ქვემო ქართლში 206,3 ლარი, შიდა ქართლში - 247,7 ლარი. ერთადერთი რეგიონი, რომელშიც თვიური შემოსავლების მაჩვენებლები ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მაღალი იყო, ეს იყო ქ. თბილისი (2014 წ. - 333,4 ლარი). ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ თბილისში მოსახლეობას შემოსავლების მიღების მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე რეგიონებში. ამიტომაც თბილისის მოსახლეობის რიცხვი იზრდება,

რეგიონების კი მცირდება. ეს ტენდენცია გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლება ადგილზე, ე. ი. რეგიონებში, არ შექმნის დასაქმების ისეთ პირობებს, რომელიც მოსახლეობის მიგრაციის პროცესს შეაჩერებს.

არათანაბარია საშუალო სულადობრივი შემოსავალი ქალაქსა და სოფელს შორისაც, ქალაქის სულადობრივი შემოსავალი 28-33%-ით აღემატება სოფლის შესაბამის მაჩვენებელს.

### ცხრილი 3

#### საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავლები საქართველოში რეგიონების ჭრილში (ლარი)

№		2011	2014	დინამიკა 2014 წ. %-ად 2011 წელთან
	სულ საქართველოში მათ შორის:	195,2	273,0	140,1
1	კახეთში	158,1	252,6	159,4
2	თბილისში	230	333,4	144,7
3	შიდა ქართლში	197,8	247,7	124,7
4	ქვემო ქართლში	143,4	206,3	144
5	აჭარის ა/რ-ში	164	240,5	146,3
6	სამეგრელო-ზემო სვანეთში	187,8	280	148,9
7	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში	211,2	265,2	125,7
8	დანარჩენ რეგიონებში	198,9	256,7	129,3

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქვეყნის ერთი მცხოვრების საშუალო სულადობრივი შემოსავალიც, რომელიც 2014 წელს 273 ლარია, კრიტიკას ვერ უძლებს. იმ დროს როცა „საქსტატის“ მონაცემებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი საქართველოში 773 ლარია და ისინი მაინც ღარიბებად თვლიან თავს, რადგან სამომხმარებლო კალათის საქონელთა 295 დასახელებიდან 237-ზე ანუ 80%-ზე 2015 წელის აგვისტოში ფასების ზრდა დაფიქსირდა,<sup>1</sup> რა ქნას, როგორ იცხოვროს იმ ადამიანმა, რომლის შემოსავალი 273 ლარი ანდა მასზე ნაკლებია?

2015 წლის აგვისტოში ოფიციალურად გამოცხადდა საარსებო მინიმუმის ზრდა. შრომისუნარიანი მამაკაცისთვის იგი 155,6 ლარია, ანუ დღეში 5 ლარი, საარსებო მინიმუმის 70% სურსათზე იხარჯება. ეს დღეში 3,5 ლარია. ნაშრომში დასმულია ასეთი ლოგიკური კითხვა: შრომისუნარიანმა მამაკაცმა რომ დღეში მხოლოდ 3,5 ლარი დახარჯოს კვებაზე, რამდენ ხანს დარჩება ის შრომისუნარიანი?

<sup>1</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები, 7 სექტემბერი, 2015, გვ. 3.

აქედან გამომდინარე დისერტანტი აყენებს საარსებო მინიმუმის გადასინჯვის საკითხს მისი ზრდის მიმართულებით, მით უფრო რომ იგი მნიშვნელოვნად მაღალია სხვა ქვეყნებში (აშშ-ში 902 დოლარი).

ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში ოფიციალური მონაცემებით 2014 წელს ასეთია: მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით იმყოფება შრომისუნარიანი მოსახლეობის 21,4%, ანუ 959533 კაცი, ხოლო 40%-ის ქვევით 8,4% ანუ 376639 კაცი. პირველ შემთხვევაში თვიური მოხმარება 130,2 ლარია, მეორე შემთხვევაში 87 ლარი. პირველი ნაწილი დღეში ხარჯავდა 130,2:30 დღე = 4,3 ლარს, მეორე ნაწილი კი - 2,9 ლარს (87:30 დღე = 2,9). დისერტანტის შეფასებით მოსახლეობის პირველი ნაწილი ღარიბია, მეორე ნაწილი - ლატაკი. ამრიგად, ფარდობითი სიღარიბის მიხედვით საქართველოში 1336172 ანუ მოსახლეობის 29,8% ღარიბ-ლატაკია. ასეთ დროს მათგან შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებული არის მხოლოდ 421300 ადამიანი, ანუ 9,4%. ამიტომ „საქსტატიც“ და სოციალური სააგენტოც საქართველოში ღარიბად თვლის მოსახლეობის მხოლოდ 9,4%-ს, გაეროს ბავშვთა ფონდი 8,3%-ს.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია დისერტანტის მიერ ქ. თბილისის მოსახლეობაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა სიღარიბის საკითხზე. გამოკითხულთა 68% დაფიქსირდა, როგორც ღარიბ-ლატაკი.

დიდია საქართველოში მოსახლეობის ფენებს (დეცილური ჯგუფები) შორის შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობა. ჯინის კოეფიციენტი ასახავს სწორედ ამ უთანაბრობას.

საქართველოში მდიდართა ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ-ჯერობით შეუდარებლად მაღალია ღარიბთა მდგომარეობასთან შედარებით, თუმცა ის ფაქტი, რომ 2006-2014 წლებში ჯინის კოეფიციენტი 0,45-დან 0,41-მდე არის შემცირებული პოზიტიურ ტენდენციას გამოხატავს (იხ. ცხრილი 4). მოსახლეობის ცხოვრების დონე იზომება არა მხოლოდ მათი შემოსავლებით, არამედ მასზე მოქმედებს მათი სამედიცინო მომსახურების დონე და განათლება. ორივე ეს საკითხი სადისერტაციო ნაშრომში საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, რომელიც საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევის პაკეტით ხორციელდება, 2013 წლიდან დადებითად არის შეფასებული, ხოლო განათლებულობა, კერძოდ, განათლების ხარისხი კი - არა. ნაშრომში ნათქვამია, რომ

განათლების დონით საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში - უმუშევრათა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული - განათლების ხარისხით კი მას მსოფლიოში 105-ე ადგილი უკავია.

#### ცხრილი 4

#### ჯინის კოეფიციენტი საქართველოში

	მთლიანი შემოსავლის მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2006	0,45	0,47	0,40	0,42
2007	0,46	0,47	0,41	0,43
2008	0,45	0,47	0,41	0,44
2009	0,46	0,48	0,42	0,44
2010	0,46	0,48	0,43	0,46
2011	0,46	0,48	0,42	0,45
2012	0,43	0,46	0,41	0,44
2013	0,42	0,43	0,40	0,44
2014	0,41	0,43	0,40	0,45

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მიღებული განათლების დონე დღევანდელი ბიზნესის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. 2011-2012 წლების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშშიც იყო ჩაწერილი „საქართველოს ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადექვატური სამუშაო ძალაა“. ასე რომ, დღეს საქართველოს „განათლებულ“ უმუშევართა, ანუ ღარიბ-ღატაკთა დიდი ნაწილი მოტყუებულია, რადგან მათ მთავრობის დაშვებით განათლება „სარდაფებში და ავტოფარეხებში გახსნილ კერძო უნივერსიტეტებში მიიღეს“. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი გადამზადება და ეს საქართველოს მთავრობამ უნდა გააკეთოს.

სადისერტაციო ნაშრომში გამოთქმულია აზრი, რომ თუ ეს ღონისძიება, ე. ი. უმუშევართა პროფესიული გადამზადება ქვეყანაში არ განხორციელდება, ის ფინანსური რეზერვები, რომელთა ამოქმედების მოდელიც ნაშრომის მეოთხე თავში აქვს დისერტანტს შემუშავებული, უნაყოფო იქნება.

ნაშრომის მეოთხე თავში - „სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტების მოდელირება“ ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა რეგულარულად, სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტში, ყოველთვის აცხადებს საქართველოში სიღარიბის დაძლევისთვის ბრძოლისთვის მზადყოფნას და ასევე გააკეთა ეხლაც - „საქართველოს

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020“-ის შემუშავებისას, რომელშიც შავით თეთრზე ჩაწერილია: საქართველოში 2020 წლისთვის უღარიბესი დეცილის გადაფარვა TSA-თი მოხდება 80%-ის ფარგლებში, მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით აღმოჩნდება მოსახლეობის 18% (ამჟამად არის 21,4% - ნ. კახნიაშვილი), 40%-ის ქვევით - 5% (ამჟამად არის 8,4% - ნ. კახნიაშვილი), ჯინის მაჩვენებელი გახდება 35% (საერთაშორისო კრიტერიუმით სიღარიბის კრიტიკული მაჩვენებელია არა 35:1-თან, არამედ, 10:1-თან,<sup>1</sup> (ამჟამად არის 41:1 - ნ. კახნიაშვილი), საპენსიო დახმარება - 100%, ხელფასის ჩანაცვლების მაჩვენებელი 25% (ამჟამად არის 22% - ნ. კახნიაშვილი).<sup>2</sup> ამის გარდა დაგეგმილია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის, განათლების უზრუნველყოფა და უმუშევრობის 12%-მდე შემცირება.

გარდაქმნის დაწყებიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობას ასეთი სამთავრობო პროგრამები - „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგია“ (2002), „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ (2007) და სხვები, რომლებშიც ჩადებული იყო მოლოდინი, რომ მათი გატარებით საქართველო „საშუალო - მაღალშემოსავლიან ქვეყნების ჯგუფში“ გადაინაცვლებდა, ბევრი უნახავს, სიღარიბე კი მათით არ დაძლეულა. პირიქით, ნაშრომში ჩატარებულმა კვლევამ დისერტანტს დაანახა ქართული სიღარიბის სიმყარე, რომლის დაძლევას მარტო პროგრამების წერა ვერ უშველის. საჭიროა ქმედითი და რადიკალური ღონისძიებების პარქტიკული გატარება.

სადისერტაციო ნაშრომის თემის დასახელებიდან - **„სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები საქართველოში“** - გამომდინარე, ნაშრომის ამ თავში დისერტანტის მიერ ყურადღება გამახვილებულია სიღარიბის დაძლევის მხოლოდ ფინანსურ რეზერვებზე. ასეთ რეზერვებად მიჩნეულია.

1. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნა-დანერგვა, ანუ ბიზნესში ღარიბი მოსახლეობის ჩართვა.
2. მიკროლიზინგი.

<sup>1</sup> ანთიპე ც., სიღარიბის დაძლევა და სოციალური სტაბილურობა, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო, 2007, გვ. 69.

<sup>2</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო - 2020, თბ., 2013, გვ. 59.

3. მიკროდაზღვევა.
4. საგადასახადო სისტემის სრულყოფა.
5. მინიმალური ხელფასის სრულყოფილი გაანგარიშება და დაკანონება.

**ინკლუზიური ბიზნეს-მოდელი ანუ სიღარიბის დაძლევის პირველი წყარო** არის „შესაძლებლობა ყველასათვის“. ეს არის ღარიბების პოტენციალის გამოყენება, რომლებიც ბიზნესში ჩაებმებიან ან მეწარმის, ან მომუშავეს ან პროდუქციის (მომსახურების) მყიდველის როლში. ამ საქმის ინიციატორი თვითონ ღარიბები ვერ იქნებიან. ეს უნდა წამოიწყოს ან ქვეყნის მთავრობამ, ანდა კერძო კომპანიებმა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ სიღარიბის წინაშე სოციალური პასუხისმგებლობაც აქვთ (თუ არა აქვთ, უნდა ჰქონდეთ), ამ საქმის თაოსნობით და განვითარებით გაიფართოვებენ პროდუქციის წარმოების მოცულობას და ბაზრებს, აქედან გამომდინარე, გაეზრდებათ შემოსავალიც.

ნაშრომში ჩამოთვლილია ხუთი პრობლემა, რომლებიც ხელს უშლიან ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის დანერგვას სხვა ქვეყნებშიც და გამოთქმულია აზრი, რომ იგივე მოხდება საქართველოში. ეს პრობლემებია: ღარიბების მოთხოვნილებების შესახებ ბაზარზე ინფორმაციის შეზღუდულობა, ღარიბთა ბაზრების არაეფექტიური რეგულირება, ღარიბთა დასახლებებში განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ღარიბებში ცოდნისა და კვალიფიკაციის არასაკმარისობა და ფინანსურ რესურსებზე ღარიბების შეზღუდული დაშვება.

ნაშრომში ამ პრობლემების მოხსნა სახელმწიფო ვალდებულებად არის ჩათვლილი, მისი პრეროგატივაა. ამ პრობლემების მოხსნის შემდეგ მსხვილი კომპანიები ადვილად და სიამოვნებით გავლენ ღარიბების ბაზარზე და ჩართავენ მათ თავის ბიზნესში. მოყვანილია ამის რამდენიმე წარმატებული მაგალითი სხვა ქვეყნების - პოლონეთის, რუსეთის, საფრანგეთის ცხოვრებიდან.

დისერტანტი თვლის, რომ სიღარიბის მაღალი დონით საქართველოში ძირითადად ცენტრიდან დაშორებული სოფლები გამოირჩევა. ესენია: ხევსურეთის, სვანეთის, რაჭის, სამცხე-ჯავახეთის, თუშეთისა და სხვათა სოფლები. თუ მათთან ზემოჩამოთვლილი 5 პრობლემა სახელმწიფოს მიერ მოიხსნება, მაშინ ზედმეტი წაქეზების გარეშე ქართული მსხვილი კომპანიები (და შეიძლება უცხოურიც) დაინტერესდებიან იქ შესვლით, და, ადგილობრივ ღარიბების უპირატესი შესაძლებლო-

ბების ადგილზე გამოყენებით. მაგალითად, სვანეთში მოაწიებენ სვანური სულგუნის და სვანური მარილის წარმოებას, ხევსურეთში - თაფლის, დამბალ-ხაჭოს, ხევსურული წინდების ქსოვას, რაჭაში - მინერალური წყლის ჩამოსხმას და ტყის ნობათის (სოკო, სამკურნალო მცენარეები) მოგროვებას, თუშეთში - თუშური ყველის წარმოებას და პაჭიჭების ქსოვას და ა. შ. ასევე შეიძლება მოეწყოს ქართული ჩურჩხელის (კახეთში, იმერეთში, გურიაში), ქართული საწებლების (სამეგრელოში, იმერეთში) და სხვათა წარმოება. ადგილობრივმა დარბებმა ეს საქმეები კარგად იციან, ეს მათი ძლიერი მხარეებია, მაგრამ უსახსრობის გამო თვითონ, დამოუკიდებლად ვერ წამოიწყებენ მათ. ეს საქმეები ან ქართულმა მსხვილმა კომპანიებმა უნდა ითავონ, ანდა უშუალოდ ქვეყნის მთავრობამ. საქონლის ეს ჩამონათვალი, რომელთა წარმოება დარბთა ჩართვით პოტენციურად შესაძლებელია საქართველოში, სრულიად ახალია მსოფლიო ბაზრისთვის და მათ წამომწყებ კომპანიებმა შეიძლება შეცვალონ კიდევ მისი სტრუქტურა ბაზარში ახალი „ნიშების“ გახსნით (ნაშრომში ამის მაგალითად მოყვანილია მავრიტანია, რომელმაც მოსახლეობის დარბი ფენიდან შეკრებული აქლემის რძე გაიტანა მსოფლიო ბაზარზე და იქ სრულიად ახალ „ნიშას“ დაეუფლა).

**სიღარიბის დაძლევის მეორე ფინანსურ წყაროდ სადისერტაციო ნაშრომში მიკროლიზინგია დასახელებული. მიკროლიზინგი უძრავი და მოძრავი ქონების იჯარით გაცემაა. მიკროლიზინგი იგივე ლიზინგია მხოლოდ მისი მასშტაბია მცირე (მიკრო). სწორედ ასეთი მცირე ლიზინგი უნდა შევთავაზოთ დარბებს, რადგან მსხვილ ლიზინგს გადასახდელიც დიდი აქვს. მის გადახდას დარბები ვერ შეძლებენ.**

დისერტანტი სთავაზობს საქართველოს მთავრობას ბიზნესის რომელიმე პროგრამაში, მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, გახსნას დარბების სეგმენტი და იმ დარბებს, რომლებიც დაინტერესდებიან ამ სეგმენტის ფორმატში ბიზნესის დაწყებით, თვითონ დაუდგეს თავდებად, რომ მიკროლიზინგით შემოიტანონ ლიზინგგამცემებისგან ტრანსპორტი, მანქანა-მოწყობილობა, ტექნოლოგია და ნედლეულიც კი. არც საქართველოში და არც სხვაგან დარბებს ბიზნესის დაწყების სხვა უკეთესი ვარიანტი არა აქვთ - მათ არა აქვთ საკუთარი ფული და არც კომერციული ბანკები აძლევენ დამწყებ მეწარმეებს (მით უფრო დარბებს) სესხებს.

დისერტანტი თვლის, რომ თუ საქართველოს მთავრობამ ეს გააკეთა (მხედველობაში აქვს სახელმწიფო თავდებობა), ეს პროექტი კარგად იმუშავებს. დასაწყისში ეს იქნება ოპერაციული მიკროლიზინგი, ანუ ჩვეულებრივი ვადიანი იჯარა, ხოლო შემდეგ, როცა ღარიბების ბიზნესი მოძლიერდება, იგი გადაიზრდება ფინანსურ ლიზინგში, ანუ ღარიბები შეძლებენ სიმბოლურ ფასად გამოისყიდონ ოპერაციული ლიზინგით აღებული ქონება. როცა ეს ეტაპი დადგება, ეს იქნება სიღარიბის დაძლევის ეტაპი, ანუ ყოფილი ღარიბები სწორედ მიკროლიზინგით დაწყებული ბიზნესით გახდებიან საშუალოდ შეძლებულნი.

**მესამე ღონისძიებად ნაშრომში დასახელებულია მიკროდაზღვევა.** ღარიბებს ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ დაზღვევით სარგებლობა, რადგან სადაზღვევო პრემიებს ანუ გადასახდელს ვერ გადაიხდიან. მაგრამ თუ ისინი ბიზნესში ჩაერთვებიან, ეს აუცილებელია. ასეთ დროს ისინი საკუთარი ძალისხმევით რისკებს ვეღარ გაუმკლავდებიან, რადგან რისკების დადგომის საფრთხე და მასშტაბი იქნება მაღალი.

დისერტანტის აზრით, აქაც სახელმწიფომ უნდა თქვას თავისი პირველი სიტყვა, ანუ კერძო სადაზღვევო კომპანიებს კი არ უნდა შევთავაზოთ მათი დაზღვევა, არამედ ეს საქმე სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიებმა უნდა შეასრულონ, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კერძო სადაზღვევო კომპანიებს შეიძლება გაუკეთდეს ასეთი შეთავაზება, აქაც, ეს უნდა მოხდეს სახელმწიფოს თავდებობით (ისე როგორც მიკროლიზინგის დროს).

**სიღარიბის დაძლევის მეოთხე წყაროდ დასახელებულია დაბეგრის რეგულირება,** დისერტანტი თვლის, რომ საჭიროა:

1. გაუქმდეს გადაწყვეტილება 2016 წლის პირველი იანვრიდან დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმების შესახებ. დაუბეგრავი მინიმუმი განისაზღვროს თვეში 600 ლარი შემოსავლით და გათავისუფლდეს გადასახადებისგან (მასში ხვდებიან ღარიბ-ღატაკნი).
2. შემოღებული იქნეს საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული შკალა:
  - 600 ლარიდან 1500 ლარამდე შემოსავალი დაიბეგროს 12%;
  - 1500-დან 3000-მდე - 17%-ით;
  - 3000-დან 30000-მდე - 20%-ით;



➤ 30000-დან 100000-მდე - 35%-ით.

3. 100000 ლარზე მეტი თვიური შემოსავლის მქონე ფიზიკური პირებისთვის შემოვიღოთ ფუფუნების გადასახადი 45-50% (რუსეთში ასეთი გადასახადის შემოღებას მოსახლეობის 70%-მა დაუჭირა მხარი).
4. გაუქმდეს დღგ-ს გადასახადი ფართო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე. დაწესდეს მხოლოდ ფუფუნების საგნებზე. (მაგალითად, როგორც ინგლისში).
5. დისერტანტი სთავაზობს საქართველოს მთავრობას, რომ იმ მეწარმეებს, რომლებიც დაასაქმებენ ღარიბებს, მნიშვნელოვნად შეუმციროს მოგების გადასახადი (ანალოგიური პრაქტიკა არის დანერგილი გერმანიაში, მხოლოდ არა ღარიბებზე, არამედ ოფიციალურად რეგისტრირებულ მიგრანტებზე, რომლებიც ან ოჯახებში მუშაობენ, ანდა სამეურნეო სტრუქტურებში).
6. შემოთავაზებულია აგრეთვე ღარიბების მიერ გახსნილ ბიზნესისთვის პირველ ორ წელს გადასახადის გაუქმება.

დისერტანტი იმედს გამოთქვამს, რომ თუ სიღარიბის დაძლევის მის ამ შემოთავაზებებს საქართველოს მთავრობა ყურად იღებს და ამგვარ ფინანსურ პოლიტიკას გაატარებს, მაშინ სიღარიბე აუცილებლად დაიწყებს შემცირებას.

## დასკვნა

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ნაშრომში გაკეთებულია შემდეგი **დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები:**

1. არ არსებობს სიღარიბის უნივერსალური განმარტება. ამ სფეროში მომუშავე მეცნიერები მას სხვადასხვანაირად განმარტავენ.

2. ცნობილია სიღარიბის 4 კონცეფცია: აბსოლუტური სიღარიბის, შედარებითი, დეპრივაციის და სუბიექტური. ამჟამად საქართველოს მოსახლეობა აბსოლუტურ სიღარიბეშია, მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს ან არასრულფასოვნად იკვებება.

3. სიღარიბის მიზეზი უმუშევრობაა, ოფიციალური სტატისტიკით 2014 წელს მისი დონე 12,4%-ია.

4. უმუშევრობით და მისით გამოწვეული სიღარიბით საქართველოში გაზრდილია დანაშაულთა რიცხვი, ამდღეულია ავადობის და სიკვდილიანობის დონე, შემცირებულია ქორწინებები და შობადობა და ა. შ.

5. ცხოვრების დონით (შემოსავლები + ჯანმრთელობის დაცვა + განათლება) საქართველო მიეკუთვნება ღარიბ ქვეყნების რიცხვს.

6. საქართველოში 2014 წელს ერთ მცხოვრებზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტი 3817 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 5-ჯერ მეტი იყო მის 1992 წლის დონეზე, მაგრამ იგი რუსეთის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 22%-ს, ხოლო შვეიცარიის მაჩვენებლის 10,8%-ს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე არა თუ ევროპის მოსახლეობის, არამედ რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების დონესაც კი ჩამორჩება.

7. დაბალია საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავალიც. 2014 წელს იგი 273 ლარია ანუ 2,6-ჯერ მეტი 2003 წლის დონესთან შედარებით და 10,4%-ით მეტი 2013 წელთან შედარებით. სულადობრივ შემოსავალში ზრდა ნამდვილად არის, მაგრამ მიღწეული მოცულობა - 273 ლარი არის მეტად მცირე. იგი დიდად არ განსხვავდება საარსებო მინიმუმის მოცულობისგან (155,6 ლარი).

8. კიდევ უფრო დაბალია სულადობრივი შემოსავალი საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ქვემო ქართლში (206,3 ლარი), აჭარაში (240,5 ალარი), შიდა ქართლში

(247,7 ლარი), კახეთში (252,6 ლარი) და სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში. ეს რეგიონები დეპრესირებული რეგიონებია.

9. სულადობრივ შემოსავლებში არსებითი განსხვავებებია ქალაქის და სოფლების მიხედვითაც. სოფლის ერთი მცხოვრების საშუალო სულადობრივი შემოსავალი 10-15%-ით ნაკლებია ქალაქის ერთი მცხოვრების შემოსავალზე.

10. საარსებო მინიმუმის თვიური ბიუჯეტი (კალათა) შრომისუნარიანი მამაკაცისთვის საქართველოში შეადგენდა: 2014 წელს 149,6 ლარს, ხოლო 2015 წელს (ივლისი) 155,6 ლარს. ეს მაშინ, როცა იგივე კალათის ღირებულება აშშ 905,5 დოლარია, ლატვიაში 175,78 ლევი ანუ 511 ლარი და ა. შ.

11. 2014 წელს საქართველოში 959533 ღარიბი და 376639 ლატაკი იყო. პირველი არის მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობა, რომელმაც 21,4% შეადგენდა, მეორე კი - მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობა, რომელმაც 8,4% შეადგინა. ამ ანგარიშით გამოდის, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოში მოსახლეობის 30%-მდე ღარიბ-ლატაკია. მათი თვიური მოხმარება საარსებო მინიმუმის ქვევითაა. პირველი ჯგუფი ხარჯავს თვეში 130,2 ლარს, მეორე 87 ლარს (დღეში 4,3 და 2,9 ლარი შესაბამისად).

12. ორივე ეს ფენა რომელთა საერთო რაოდენობა არის 1336172 ადამიანი დარეგისტრირებული უნდა იყოს საარსებო შემწეობის მიღებაზე. ფაქტიურად ასეთი შემწეობა 2014 წელს მიიღო მხოლოდ 421300 კაცმა, წინა წლებში კი უფრო ნაკლებმა.

13. ქ. თბილისში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვით დადგინდა, რომ 24% თვლის, რომ უჭირს ცხოვრება, 36%-ს ძალიან უჭირს, 8% მათხოვრობს, 28% თვლის, რომ საშუალოდ ცხოვრობს, ხოლო 2% თვლის, რომ კარგად ცხოვრობს (გამოკითხულთა შორის ღარიბების რიცხვში მოხვდა 13 დასაქმებულიც). ამ გამოკითხვით ღარიბად ჩაითვლება გამოკითხულთა 68% (24+36+8=68).

14. მაშასადამე, საქართველოში ღარიბად ითვლება:

- ქ. თბილისის მოსახლეობის სუბიექტური შეფასებით - 68%;
- სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული ინდივიდუალური კვლევით - 29,8%;
- გაეროს ბავშვთა ფონდის გამოკვლევით - 8,3%;

- საქართველოს სოციალური სააგენტოს და "საქსტატის" ინფორმაციით - 9,4%.

15. უკანასკნელ წლებში საქართველოს სტატისტიკის სამსახური აღარც სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის მაჩვენებელს აქვეყნებს და არც ინფორმაციას მის საანგარიშოდ. არც ცხადდება 10 დეცილური ჯგუფის შემოსავლები და ხარჯებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება სიღარიბის რეალური მდგომარეობის დასაფარავად.

16. ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს შემოსავლების განაწილების უთანაბრობას მოსახლეობაში საქართველოში 2006-2014 წლებში 0,45-დან 0,41-მდე არის შემცირებული. ეს დინამიკა ამ დიფერენციაციის გაუმჯობესებაზე მიგვითითებს. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მდიდრებსა და ღარიბებს შორის შემოსავლებში დაცილება დიდია.

შექნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად უპირველესად საჭიროა უმუშევრობის შესამცირებლად რადიკალური ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

1. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა, რაც გულისხმობს შრომის ბირჟის, დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის, დასაქმების ფონდისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; უმუშევართა პროფესიული მომზადება და გადამზადება;

2. უმუშევრობის ღონის შემცირება ძირითადად დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ე. ი. ახალი კაპიტალდაბანდებების განხორციელებასთან. გარდა ამისა, ინოვაციების განხორციელებას, რომელსაც თან ახლავს შრომის მწარმოებლურობის ზრდა, უმუშევრობის ღონის ზრდა რომ არ მოჰყვეს, აუცილებელია წარმოების გაფართოება შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროპორციულად. ე. ი. საქართველოში, ვინაიდან ადგილი აქვს უმუშევრობის მაღალ დონეს და წარმოებაში ინერგება სიახლეები, უმუშევრობის არსებული დონის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ გაუსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას უპირატესობა უნდა მიეცეს ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას;

3. ადგილობრივი ინვესტიციების მობილიზაციისათვის აუცილებელია ადგილობრივ ბიზნესმენებზე სახელმწიფო მოხელეთა ყოველგვარი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა. მართალია საქართველოში კორუფცია შემცირდა, მაგრამ მთლიანად არ აღმოფხვრილა.

4. უმუშევრობის შემცირების დიდი რეზერვი არის მცირე ბიზნესი. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა. საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ფართო ინფრასტრუქტურა, საქართველოში კი მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება თითქმის არ ხდება და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს:<sup>1</sup>

5. ეკონომიკური თვალსაზრისით, მიუღებელია მაღალი განათლების მქონე პირს ჰქონდეს დაბალი ანაზღაურება. არადა, საქართველოში მრავალი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება. ასეთ ვითარებას მინიმუმამდე დაჰყავს განათლებაში ინვესტიციების ეფექტიანობა. ჩვენთან უმაღლეს განათლებას ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ, დიპლომისათვის იღებს, რაც მათ დასაქმებას სპეციალობის მიხედვით ძლიერ აძნელებს;

6. სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის (მათ შორის პრეფერენციების) გამოყენებით უნდა წახალისოს საექსპორტო და იმპორტმემცვლელი წარმოება. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პროგრამების განხორციელება;

7. პერსპექტივაში სოფლად ფერმერული მეურნეობების განვითარების (იგულისხმება შესაბამისი ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვა) კვალობაზე წარმოიშობა ჭარბი მუშახელი, რომელთა დასაქმებისათვის მიზანშეწონილი იქნება მცირე მეწარმეობის განვითარება სასოფლო ადგილებში;

უმუშევრობის დონის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების ორგანიზება, რისთვისაც

---

<sup>1</sup> საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით იხილეთ: აბესაძე რ., კაკულია ვ., მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბ., 2009.

სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ბიუჯეტის სახსრები, უცხოური კრედიტები და დახმარებები.

უმუშევრობის შემცირება შეამცირებს სიღარიბის დონეს საქართველოში, მაგრამ ამ სიღარიბის კიდევ უფრო შესამცირებლად გვაქვს სხვა ღონისძიებებიც. ყველა ისინი მოვაქციეთ ერთ ბლოკში და მათ სიღარიბის შემცირების **ფინანსური წყაროები** ვუწოდეთ. ასეთებია:

1. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის დანერგვა, ანუ ღარიბების ჩართვა ბიზნესში;
2. მიკროდაზღვევის გავრცელება ღარიბებზე;
3. მიკროლიზინგის გამოყენება ღარიბების მიერ წარმოწყობულ ბიზნესში (სახელმწიფოს თავდებობით);
4. დაბეგვრის სისტემის სრულყოფა, კერძოდ:
  - გაუქმებული დაუბეგრავი მინიმუმის აღდგენა;
  - პროპორციული საგადასახადო სისტემის შეცვლა პროგრესული სისტემით;
  - ღარიბების დამჭირავებელ კომპანიებისთვის გადასახადის განაკვეთების შემცირება;
  - ღარიბების მიერ გახსნილ ბიზნეს-სუბიექტებისთვის პირველ-ორ წელს გადასახადების გაუქმება.
  - დღგ-ს გადასახადის გაუქმება ფართო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე და მისი დაწესება მხოლოდ ფუფუნების საგნებზე.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ:

დისერტანტის მიერ დაცული იქნა ორი თემატური სემინარი:

1. საბანკო სისტემის სამართლებრივი გარემო საქართველოში.
2. გადასახადები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი წყარო.

აგრეთვე დაცული იქნა 3 კოლოკვიუმი:

1. კოლოკვიუმი №1. "უმუშევრობის და სიღარიბის თეორიული საფუძვლები".
2. კოლოკვიუმი №2. "უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები".

3. კოლოკვიუმი №3. "საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის ანალიზი და შეფასება".

საკვლევი თემის ძირითადი დებულებები დისერტანტის მიერ გამოქვეყნდა შემდეგ შრომებში:

1. "სიღარიბის კიდევ ერთი მიზეზი: ინფორმაციული უთანასწორობა". ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი " N 3 ეკონომიკა და ბიზნესი" 2010, გვ. 95-104.
2. "გლობალიზაცია და სიღარიბე". პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე", თბ., 2010, გვ. 302.
3. „სიღარიბის დინამიკა საქართველოში“. პროფესორ გ. პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. გამომც. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2013. გვ. 167-169.
4. „ ღარიბი მოსახლეობის პოტენციალის გამოყენების მდგომარეობა საქართველოში“. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ჟურნალი ეკონომისტი, გამომც. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2014, გვ 43-46.
5. „ეკონომიკური ზრდა, სიღარიბე და შემოსავლის განაწილება“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუა-

- ლური პრობლემები, გამომც. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბი., 2014, გვ. 179-182.
6. "სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტი: მიკროდაზღვევა". ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ჟურნალი ეკონომისტი, გამომც. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2014. გვ. 429-432
  7. "სიღარიბე როგორც უმუშევრობის გამოვლინების ფორმა". სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენციის კრებული: „ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები“, ახალციხე, 2015. გვ. 79-82
  8. "ადამიანური რესურსების მართვა ბიზნესში". მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები.“ ბათუმი, 2015. გვ. 247-248
  9. "მოსახლეობის სიღარიბე და პროგრესული გადასახადები". პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი გავითარების აქტუალური პრობლემები“, თბ., 2015, გვ. 504-506.
  10. „შიმშილი როგორც სიღარიბის გამოვლინების უკიდურესი ფორმა“ პ.გუგუშვილის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“, თბილისი 2016, გვ., 474-476;
  11. „შემოსავლების განაწილების უთანაბრობა საქართველოში“ ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N 4, სექტემბერ-ოქტომბერი, 2016, e-mail: b\_k.ge; გვ. 28-31;
  12. „მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალათა კრებული



„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, გამომც.  
„უნივერსალი“, თსუ., 2016, გვ. 289-291;

13. „სიღარიბესთან ბრძოლა და საგადასახადო პოლიტიკა“,  
უნივერსტეტაშორის მე-2 სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და  
ბიზნესის აქტუალური პრობლემები“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ახალციხე, 2016;